

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

თბილისის ფილიალი ჩენგდუს დიზაინის და
სამშენებლო მასალების კვლევის ინსტიტუტის შპს

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
3. ძირითადი საშუალებები
4. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	<u>31 დეკემბერი 2022</u>	<u>31 დეკემბერი 2021</u>	<u>1 იანვარი 2021</u>
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,226,606	2,226,606	2,226,606
- ცვეთა	(2,207,183)	(2,026,141)	(1,605,920)
წმინდა ძირითადი საშუალებები	19,423	200,465	620,686
სულ გრძელვადიანი აქტივები	19,423	200,465	620,686
		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	805,038	924,641	669,014
დებიტორული დავალიანება	1,408,040	1,433,752	1,333,279
წინასწარ გაწეული ხარჯები	7,250	7,250	7,250
სასაქონლო მატერიალური მარაგები	436,607	436,607	370,792
საგადასახადო აქტივი	105,778	89,791	213,172
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,762,713	2,892,041	2,593,507
სულ აქტივები	2,782,136	3,092,506	3,214,193
		-	-
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
დაგროვილი ზარალი	(4,700,900)	(4,870,956)	(5,317,533)
სულ კაპიტალი	(4,700,900)	(4,870,956)	(5,317,533)
		-	-
მიმდინარე ვალდებულებები	7,483,036	7,963,462	8,531,726
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	7,483,036	7,963,462	8,531,726
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,782,136	3,092,506	3,214,193

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია თბილისის ფილიალი ჩენგდუს დიზაინის და სამშენებლო მასალების კვლევის ინსტიტუტის შპს სახელით 2023 წლის 02 ოქტომბერს

დირექტორი ლინ ჯიე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,226,606	2,226,606	2,226,606
- ცვეთა	(2,207,183)	(2,026,141)	(1,605,920)
წმინდა ძირითადი საშუალებები	19,423	200,465	620,686
სულ გრძელვადიანი აქტივები	19,423	200,465	620,686
ფული და ფულის ექვივალენტები	805,038	924,641	669,014
დებიტორული დავალიანება	1,408,040	1,433,752	1,333,279
წინასწარ გაწეული ხარჯები	7,250	7,250	7,250
სასაქონლო მატერიალური მარაგები	436,607	436,607	370,792
საგადასახადო აქტივი	105,778	89,791	213,172
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,762,713	2,892,041	2,593,507
სულ აქტივები	2,782,136	3,092,506	3,214,193
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
დაგროვილი ზარალი	(4,700,900)	(4,870,956)	(5,317,533)
სულ კაპიტალი	(4,700,900)	(4,870,956)	(5,317,533)
მიმდინარე ვალდებულებები	7,483,036	7,963,462	8,531,726
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	7,483,036	7,963,462	8,531,726
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,782,136	3,092,506	3,214,193

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია თბილისის ფილიალი ჩენგდუს დიზაინის და სამშენებლო მასალების კვლევის ინსტიტუტის შპს სახელით 2023 წლის 02 ოქტომბერს

დირექტორი ლინ ჯიე

სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	2022	2021
საოპერაციო შემოსავალი		
შემოსავალი რეალიზაციიდან	31,000	1,186,070
სხვა საოპერაციო შემოსავლები	-	-
მომსახურების თვითღირებულება	(345,157)	(1,091,962)
სულ საოპერაციო შემოსავალი	(314,157)	94,108
	-	-
არასაოპერაციო შემოსავალი		
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი/(დანაკლისი)	485,306	356,560
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	485,306	356,560
	-	-
არასაოპერაციო ხარჯი	0	0
საბანკო კომისიის ხარჯი	-	-
ქონების გადასახადი	(1,093)	(4,165)
სულ არასაოპერაციო ხარჯი	(1,093)	(4,165)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	170,056	446,503
	170,056	446,503

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2021	(5,317,533)	(5,317,533)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	446,577	446,577
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	(4,870,956)	(4,870,956)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	170,056	170,056
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	(4,700,900)	(4,700,900)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავალი ნაგაჟრი ამონაგებიდან	-	-
შემოსავალი მომსახურებიდან	62,292	1,315,189
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	-	(96,663)
მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(173,850)	(913,277)
სხვა ხარჯები	(45)	(1,230)
გადახდილი გადასახადი	(7,560)	(47,963)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(119,163)	256,056
	-	-
	-	-
ფულადი ნაკადების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(119,163)	256,056
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში	924,641	669,014
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(440)	(429)
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	805,038	924,641

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

თბილისის ფილიალი ჩენგდუს დიზაინის და სამშენებლო მასალების კვლევის ინსტიტუტის შპს (შემდეგში «ფილიალი») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის ჩენგდუს დიზაინის და სამშენებლო მასალების კვლევის ინსტიტუტის ფილიალს საქართველოში და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისში, ძველი თბილისის რაიონი, გიგა ლორთქიფანიძის ქუჩა N4

ფილიალის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.

ფილიალი საქართველოში დარეგისტრირდა 2015 წლის 10 აგვისტოს და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩენგდუს დიზაინი და სამშენებლო მასალების კვლევის ინსტიტუტის შპს-ს ფილიალს მართავს დირექტორი ლინ ჯიე - ჩინეთის მოქალაქე.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში «მსს ფასს»), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (**“GEL”**).

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანის დროს 2022 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი და 1 ევრო = 2.8844 ლარი.

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის მიერ რეალიზაციის ოპერაციები ძირითადად ხორციელდება შემუშავებული ჩვეულებრივი პირობებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმ ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ამ თანხების ამოღებადობის შესაძლებლობა. თუკი არსებობს მსგავსი სახის მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ფილიალი იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს. სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება შემდეგი პრინციპით: ისტორიულ ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- მოწყობილობა-დანადგარები 5 წელი

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს და არ ითვალისწინებს რაიმე პროცენტებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში (საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით). ასეთი საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შედეგი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) ხდება როცა მყიდველს მიეწოდება საქონელი (მომსახურება) და გადაეცემა საკუთრების უფლება. შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მიღებული/მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ყოველგვარი ფასდათმობის გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის ადრე არსებული მეთოდი. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან). ამასთან, არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულებისათვის განაწილებულ მოგებად ითვლება ამ მუდმივი დაწესებულების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან არარეზიდენტი საწარმოს მიერ მისი მუდმივი დაწესებულებისთვის მიკუთვნებული მოგების გატანა.

დღგ

ფილიალი გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლეელი თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შვებულებებს, ბიულეტენებს და არაფულად სარგებლებს ფილიალი ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

არაარსებობის გამო კომპანიის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების ასახვა/აღრიცხვა.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. ძირითადი საშუალებები

	სხვადასხვა ძირითადი საშუალებები	სულ
<i>ღირებულება</i>		
ნაშთი 1 იანვარი 2021	2,226,606	2,226,606
დამატებები	-	-
გასვლები	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	2,226,606	2,226,606
დამატებები		
გასვლები	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	2,226,606	2,226,606
<i>ცვეთა და ამორტიზაცია</i>		
ნაშთი 1 იანვარი 2021	1,605,920	1,605,920
წლის დარიცხული ცვეთა	433,268	433,268
გასვლები	13,047	13,047
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	2,026,141	2,026,141
წლის დარიცხული ცვეთა	181,042	181,042
გასვლები	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	2,207,183	2,207,183
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
1 იანვარი 2021	620,686	620,686
31 დეკემბერი 2021	200,465	200,465
31 დეკემბერი 2022	19,423	19,423

4. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფილიალის არ ჰქონია მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდნენ გახსნას ფინანსურ ანგარიშგებაში.